12.08.11 № 03-2.1-158/3590

საქართველოს ეროვნული ბანკის
ვიცე პრეზიდენტს ბ-ნ ო. ნადარაიას

ასლი საფონდო ბირჟას

ნახევარწლიური ანგარიშის შესახებ

გეგზავნებათ, სს" ვითიბი ბანკ ჯორჯიას" ნახევარწლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერის გარეშე, ვინაიდან ამჟამად იგი არ იმყოფება საქართველოში.

დანართი: 36 ფურცლად.

CD დისკი - 1 ცალი

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი არჩილ კონცელიძე

004685

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
საქართველო 0108
თბილისი
გ. ჭანტურიას ქ. 14
ტელეფონი:
+(995) 32-505-505
ფაქსი:
+(995) 32-93-32-91
SWIFT: UGEBGE22
E-mail: info@vtb.com.ge

სს „ვითიბი ბანკი (ჯორჯია)"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით*

# შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ....... 1
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება ....... 2
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება ....... 3
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება ....... 4
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება ....... 5

## კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. შესავალი ....... 6
2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ....... 7
3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები ....... 17
4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და ახალი ან კორექტირებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციის შემოღება ....... 18
5. ფული და ფულადი ექვივალენტები ....... 19
6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ....... 20
7. კლიენტებზე გაცემული სესხები ....... 20
8. დაფარვის ვადამდე ფლობილადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ....... 23
9. ძირითადი საშუალებები ....... 23
10. საინვესტიციო ქონება ....... 24
11. გადასახადები ....... 24
12. სხვა აქტივები და ვალდებულებები ....... 26
13. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ....... 27
14. ვალდებულებები კლიეტების წინაშე ....... 28
15. სხვა ნასესხები სახსრები ....... 29
16. კაპიტალი ....... 29
17. პირობითი ვალდებულებები ....... 30
18. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან ....... 31
19. სხვა შემოსავალი ....... 32
20. ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი ....... 32
21. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები ....... 33
22. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები ....... 34

## ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

**2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით**

*(ათასი ლარი)*

| | *შენიშვნები* | *30.06.2011* | *31.12.2010* |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 5 | 47,349 | 37,988 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 6 | 28,349 | 11,583 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 7 | 208,145 | 200,458 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: | | | |
| გასაყიდად არსებული | | 3,985 | 94 |
| დაფარვის ვადამდე ფლობილი | 8 | 20,454 | 31,382 |
| ძირითადი საშუალებები | 9 | 32,607 | 30,250 |
| საინვესტიციო ქონება | 10 | 18,575 | 17,897 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები | 11 | 51 | 286 |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები | 11 | 5,269 | 7,257 |
| სხვა აქტივები | 12 | 4,369 | 3,556 |
| **სულ აქტივები** | | 369,153 | 340,751 |
| **ვალდებულებები** | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | 13 | 35,779 | 5,644 |
| ვალდებულებები კლიენტების წინაშე | 14 | 175,200 | 180,576 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 15 | 58,190 | 63,676 |
| გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები | | - | - |
| სხვა ვალდებულებები | 12 | 4,828 | 7,184 |
| სუბორდინირებული სესხი | | 20,239 | 21,534 |
| **სულ ვალდებულებები** | | 294,236 | 278,614 |
| **კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 16 | 148,043 | 148,043 |
| ქონების გადაფასების რეზერვი | | 1,591 | 1,609 |
| აკუმულირებული ზარალი | | (74,717) | (87,515) |
| **სულ კაპიტალი** | | 74,917 | 62,137 |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | 369,153 | 340,751 |

**არჩილ კონცელიძე**
**გენერალური დირექტორი**

**ირაკლი ჩახნაშვილი**
**მთავარი ბუღალტრის მოადგილე**

*თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

## მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

*(ათასი ლარი)*

| | *შენიშვნები* | *30.06.2011* | *30.06.2010* |
|---|---|---|---|
| **საპროცენტო შემოსავალი** | | | |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | 19,215 | 27,243 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | | 1,792 | 187 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | | 547 | 404 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | | 16 | 13 |
| | | **21,570** | **27,847** |
| **საპროცენტო ხარჯი** | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | | (2,514) | (7,824) |
| ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე | | (4,726) | (6,692) |
| ვალდებულებები საქართველოს ეროვნული ბანკის და მთავრობის წინაშე | | (83) | (581) |
| | | **(7,323)** | **(15,097)** |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | | 14,247 | 12,750 |
| სესხის გაუფასურების რეზერვი | 7 | 8,656 | (19,194) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი/ (ხარჯი) სესხის გაუფასურების შემდგომ** | | **22,903** | **(6,444)** |
| წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან | 18 | 1,513 | 1,460 |
| წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან: | | | |
| - ვაჭრობიდან | | 3,216 | 4,299 |
| - საკურსო სხვაობებიდან | | (1,409) | (2) |
| მოგება გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან | | - | - |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაუფასურება | | - | (3) |
| წმინდა მოგება ან ზარალი სამართლიანი ღირებულებით საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან | | 252 | - |
| წმინდა მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულებით გადაფასებიდან | 10 | 640 | - |
| სხვა შემოსავალი | 19 | 1,913 | 1,768 |
| **არასაპროცენტო შემოსავალი** | | **6,125** | **7,522** |
| თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები | 20 | (9,484) | (8,637) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 9 | (1,130) | (1,088) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | 20 | (3,225) | (3,708) |
| სხვა გაუფასურება და რეზერვები | 12 | (421) | (187) |
| **არასაპროცენტო ხარჯი/ზარალი** | | **(14,260)** | **(13,620)** |
| **ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | 14,768 | (12,542) |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 11 | (1,988) | 738 |
| **წლის მოგება (ზარალი)** | | 12,780 | (11,804) |

**არჩილ კონცელიძე**
**გენერალური დირექტორი**

**ირაკლი ჩახნაშვილი**
**მთავარი ბუღალტრის მოადგილე**

*თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

## სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

*(ათასი ლარი)*

| | *შენიშვნები* | *30.06.2011* | *30.06.2010* |
|---|---|---|---|
| წლის მოგება (ზარალი) | | 12,780 | (11,804) |
| **სხვა სრული შემოსავალი:** | | | |
| შენობა-ნაგებობების გადაფასება | 9 | - | - |
| სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი | 11 | - | - |
| **წლის სხვა სრული წმინდა მოგება (ზარალი) გადასახადის გარეშე** | | - | - |
| **სულ წლის სრული მოგება (ზარალი)** | | 12,780 | (11,804) |

არჩილ კონცელიძე
გენერალური დირექტორი

ირაკლი ჩახნაშვილი
მთავარი ბუღალტრის მოადგილე

*თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

## საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

**2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით**

*(ათასი ლარი)*

| | შენიშვნები | საწესდებო კაპიტალი | მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი | აკუმულირებული ზარალი | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|---|---|
| **2009 წლის 31 დეკემბერი** | | 104,543 | 1,969 | (72,535) | 33,977 |
| სრული წმინდა მოგება | | - | - | (11,804) | (11,804) |
| გადაფასების რეზერვის ცვეთა, მოგების გადასახადის გათვალისწინებით | | - | (22) | 22 | - |
| ქონების გადაფასების რეზერვის გადატანა ქონების გაყიდვის შედეგად, მოგების გადასახადის გათვალისწინებით | | - | - | - | - |
| საწესდებო კაპიტალის გამოშვება | 16 | 38,008 | - | - | 38,008 |
| **2010 წლის 30 ივნისი** | | 142,551 | 1,947 | (84,317) | 60,181 |
| | | | | | |
| **2010 წლის 31 დეკემბერი** | | 148,043 | 1,609 | (87,515) | 62,137 |
| სრული წმინდა მოგება | | - | - | 12,780 | 12,780 |
| გადაფასების რეზერვის ცვეთა, მოგების გადასახადის გათვალისწინებით | | - | (18) | 18 | - |
| ქონების გადაფასების რეზერვის გადატანა ქონების გაყიდვის შედეგად, მოგების გადასახადის გათვალისწინებით | | - | - | - | - |
| საწესდებო კაპიტალის გამოშვება | | | | | |
| **2011 წლის 30 ივნისი** | | 148,043 | 1,591 | (74,717) | 74,917 |

არჩილ კონცელიძე
გენერალური დირექტორი

ირაკლი ჩახნაშვილი
მთავარი ბუღალტრის მოადგილე

*თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

**ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**
**2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით**

*(ათასი ლარი)*

| | *შენიშვნები* | *30.06.2011* | *30.06.2010* |
|---|---|---|---|
| **ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| მიღებული პროცენტი | | 25,499 | 26,025 |
| გადახდილი პროცენტი | | (7,248) | (13,939) |
| მიღებული გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი | | 2,062 | 1,933 |
| გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი | | (507) | (544) |
| უცხოური ვალუტის ვაჭრობიდან წმინდა რეალიზებული მოგება | | 3,125 | 4,299 |
| სხვა მიღებული შემოსავალი | | 1,544 | 1,827 |
| თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები | | (10,195) | (8,104) |
| სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები | | (3,658) | (3,933) |
| **ფულადი სახსრების მოძაობა საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებისა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე** | | **10,623** | **7,564** |
| *საოპერაციო აქტივების წმინდა ზრდა/(კლება)* | | | |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | | (16,984) | (1,537) |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | (15,165) | (17,901) |
| სხვა აქტივები | | 240 | (175) |
| *საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)* | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | | 30,253 | (2,583) |
| ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე | | (1,566) | 38,099 |
| სხვა ვალდებულებები | | (1,691) | (2,971) |
| **ფულადი სახსრების წმინდა მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან (საოპერაციო საქმიანობაში) მოგების გადასახადში ცვლილებებამდე** | | **5,710** | **(20,497)** |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | - | - |
| **ფულადი სახსრების წმინდა მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან (საოპერაციო საქმიანობაში)** | | **5,710** | **(20,497)** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა | | (25,618) | (18,969) |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან და გამოსყიდვიდან მიღებული შემოსავალი | | 32,865 | 23,500 |
| ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა | | (4260 ) | (1,682 ) |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | | 30 | 51 |
| საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | | 3,697 | 90 |
| საინვესტიციო ქონების შესყიდვა | | (2,377) | (193) |
| **წმინდა ნაღდი ფული საინვესტიციო საქმიანობიდან/(საქმიანობაში)** | | **4,337** | **(2,797)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| საწესდებო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსავალი | | - | 38,009 |
| სხვა ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი | | 47,609 | 3,688 |
| სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა | | (48,108) | (22,383) |
| **წმინდა ნაღდი ფული საფინანსო საქმიანობიდან** | | **(499)** | **19,314** |
| ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა | | (187) | 1,822 |
| **ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა მოძრაობა** | | **9,361** | **44,430** |
| **ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისი** | 5 | **37,988** | **60,972** |
| **ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლო** | 5 | **47,349** | **105,402** |

**არჩილ კონცელიძე**
**გენერალური დირექტორი**

**ირაკლი ნახნაშვილი**
**მთავარი ბუღალტრის მოადგილე**

*თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

# 1. შესავალი

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა სს „ვითიბი ბანკი (ჯორჯიას)"–თვის (შემდეგში მოხსენიებული როგორც "ბანკი") და მისი შვილობილი კომპანიებისთვის (შემდეგში ერთად მოხსენიებული როგორც "ჯგუფი")

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ბანკის შვილობილ კომპანიებში შედიოდა სრულად ფლობილი კომპანიები, რომლებიც ოპერირებენ და რეგისტრირებული არიან საქართველოში:

შპს „ქართული საფონდო კომპანია“ , რომლის ანაზღაურებული კაპიტალი შეადგენს 11 ლარს. კომპანია ფუნქციონირებს როგორც ბროკერული აგენტი.

„ჯთ+„ რომლის ანაზღაურებული კაპიტალი შეადგენს 0,2 ლარს. კომპანია ფლობს ჩოგბურთის კორტებს თბილისში.

შპს" ტირიფონი", რომლის კაპიტალი შეადგენს 1,181 ლარს. ახორციელებს "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" კანონით გათვალიწინებულ საქმიანობას.

ბანკი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდა 1995 წლის 7 აპრილს „გაერთიანებული ქართული ბანკის" სახელით. 2006 წლის 7 დეკემბერს ბანკმა შეიცვალა სახელი და ეწოდა „ვითიბი ბანკი (ჯორჯია)". ბანკს გააჩნია მისი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდეგში მოხსენიებული როგორც "სებ"-ი) მიერ გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზია, რომელიც მას მიენიჭა 1995 წლის 19 მაისს.

ბანკი იღებს დეპოზიტებს მოსახლეობისგან და გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს სავალუტო გაცვლით ოპერაციებს და თავის კომერციულ და ინდივიდუალურ კლიენტებს სთავაზობს საბანკო მომსახურებას. ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში. 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (ისევე როგორც 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) ბანკს აქვს 13 ფილიალი (5 მათგან თბილისში) და 1 სერვის ცენტრი. ბანკის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჭანტურიას ქ. 14.

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მიმოქცევაში გაშვებული ბანკის აქციების 1 %-ზე მეტს შემდეგი აქციონერები ფლობდნენ.

| აქციონერი | *30.06.2011*<br>*%* | *31.12.2010*<br>*%* |
|---|---|---|
| ღსს "ბანკი ვეტებე". | 96.31 | 96.31 |
| შპს"ლაკარპა ენტერპრაიზისი" | 2.08 | 2.08 |
| სხვა | 1.61 | 1.61 |
| **სულ** | **100.0** | **100.0** |

ღსს "ბანკი ვეტებე". (შემდგომში "მშობელი ბანკი") წარმოადგენს ბანკის პირდაპირ მშობელს. ღსს "ბანკ ვეტებეს". ძირითად აქციონერს და ვე-ტე-ბე ჯგუფის უმსხვილეს მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს რუსეთის ფედერაცია, რომელიც მოქმედებს ქონების ფედერალური სააგენტოს მეშვეობით და 2011 წლის 30 ივნისისსათვის ფლობს ვე-ტე-ბე-ს გამოშვებული და ბრუნვაში გაშვებული აქციების 75.5%-ს.

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ბანკის სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოს წევრები, არ ფლობდნენ ბანკის აქციებს.

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ბანკის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 693-ს. (2010: 693).

## 2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

### შედგენის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" (შემდეგში მოხსენიებული როგორც „ფასს") შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განმარტებულია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში ქვემოთ. მაგალითად, გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები, ისევე როგორც მიწა და შენობა-ნაგებობები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული. ანგარიშგება ლარშია წარმოდგენილი, რადგან ბანკის ფინანსური ოპერაციების უმეტესობა შესრულებულია აღნიშნულ ვალუტაში. ოპერაციები სხვა ვალუტაში აღრიცხულია როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღწერილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული, შენიშვნა 4.

### შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის სამეურნეო სუბიექტები, რომელთა საწესდებო კაპიტალის ნახევარზე მეტ წილს ბანკი ფლობს ხმის უფლებით. ანუ მას აქვს უფლება განახორციელოს ამ ორგანიზაციების საქმიანობაზე კონტროლი. შვილობილი კომპანიების ანგარიშები ბანკის ანგარიშგებაში არის კონსოლიდირებული იმ დღიდან როცა კონტროლი ბანკის ხელში გადავიდა და შეწყდება მათი კონსოლიდაცია იმ დღიდან, როცა ბანკი მათზე კონტროლის უფლებას დაკარგავს. ჯგუფის შიდა ტრანზაქციები და ამ ტრანზაქციების შედეგები (შემოსავალ–ხარჯები), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტრანზაქცია ასახავს აქტივის გაუფასურებას, კონსოლიდირებული ანგარიშგების შედგენის მიზნით სრულად გაქვითულია. საჭიროების შემთხვევაში შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება მშობელ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

### ფინანსური აქტივები

*თავდაპირველი აღიარება*

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, სესხებად და მოთხოვნებად, ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად თუ გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციებისათვის, რომლებიც არ აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ და შემდგომში შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში.

*აღიარების თარიღი*

როგორც წესი, ფინანსური აქტივების გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი შეისყიდის ან გაყიდის აქტივს. ჩვეულებრივ, ფინანსური აქტივების შესყიდვა და გაყიდვა ისეთი ოპერაციებია, რომლებიც მოითხოვენ აქტივის მიტანას დანიშნულების პუნქტამდე კანონმდებლობით თუ საბაზრო პირობებით რეგულირებად პერიოდში.

## 2 შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა მიმოხილვა (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

*კრედიტები და დებიტორული დავალიანება*

კრედიტები და დებიტორული დავალიანება არის აქტიურ ბაზარზე არაკოტირებული დერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადი. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოენებით. მოგება და ზარალი აღიარებულია კონსოლიდერებულ მოგება/ზარალის ანგარიშში, იმ შემთხვევაში თუ კრედიტები და დებიტორული დავალიანება ჩამოიწერება ან გაუფასურდება, ასევე ამორტიზების შედეგად.

*ვადამდე ფლობილი ინვესტიციები*

ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვების გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, კლასიფიცირდებიან როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები, როდესაც ჯგუფსშესწევს მათი დაფარვის ვადამდე ფლობის უნარი და აქვს მათი დაფარვის ვადამდე ფლობის განზრახვა. ეს განსაზღვრება არ მოიცავს განუსაზღვრელი ვადის მქონე ინვესტიციებს. ინვესტიციები ვადამდე შენარჩუნებად ფასიან ქაღალდებში აისახება ამორტიზებული ღირებულებით. ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ინვესტიციებისათვის მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ინვესტიციის გაუფასურებისას, აგრეთვე, ცვეთის პროცესში.

*გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები*

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც განსაზღვრულია გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად და არ არის გათვალისწინებული რომელიმე სხვა კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებისა და ზარალის ცალკეულ კომპონენტად ინვესტიციის აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების დრომდე, როდესაც კუმულატიური მოგება–ზარალი, რომელიც გასული პერიოდის მოგება–ზარალში იყო ასახული, არის რეკლასიფიცირებული მოგება ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით გაანგარიშებული პროცენტი აღიარებულია კონსოლიდიორებული მოგება–ზარალის ანგარიშგებაში.

თუ ჯგუფს გააჩნია სურვილი და შესაძლებლობა, ფლობდეს გასაყიდად არსებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს მათი დაფარვის ვადამდე, ისინი შეიძლება იყოს რეკლასიფიცირებული, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ამ შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღის მმდგომარეობით გახდება ამ ქაღალდების ახალი საამორტიზაციო ღირებულება. დაფარვის ფიქსირებული ვადის მქონე ინსტრუმენტების გადაფასეების რეზერვები, რეკლასიფიკაციის თარიღისათვის, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთიოდის გამოყენებით ამორტიზირებული უნდა იქნას მოგებაში ან ზარალში ამ ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადამდე.

*სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა*

ფინანსურ ბაზარზე გასაყიდად არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ბალანსის შედგენის თარიღისათვის ან დილერის მიერ შეთავაზებული ფასით (შეთავაზებული ფასი გრძელ პოზიციაზე და მოთხოვნილი ფასი მოკლე პოზიციაზე), ტრანზაქციის ხარჯის გამოკლების გარეშე.

ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტებისათვის , რომელთა საბაზრო პირობებთან შედარებაც ვერ ხერხდება, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების მეთოდის გამოყენებით. ამგვარი მეთოდი მოიცავს წმინდა მიმდინარე ღირებულების დადგენის ტექნიკას, რომელიც ეყრდობა მსგავსი ინსტრუმენტების ფასის შედარებას შესაბამისი საბაზრო გარემოებების გათვალისწინებით და სხვა შეფასების მოდელების გამოყენებას.

## 2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, მოთხოვნებისაგან ეროვნული ბანკისადმი, (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც გააჩნიათ განთავსებიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

### წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივ ბიზნესის მსვლელობისას ჯგუფი აწარმოებს გაცვლით ოპერაციებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით სავალუტო და ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე. ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ღირებულებით, ან ფასწარმოწმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და საკონტრაქტო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსავალი და ხარჯი აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდებიდან წმინდა შემოსავალი/(ხარჯი) ან სავალუტო ოპერაციებიდან წმინდა შემოსავალი/(ხარჯი), გამომდინარე ინსტრუმენტის ბუნებიდან.

### ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირებულია როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ჯგუფს წარმოეშობა ფულადი ან სხვაგვარი ვალდებულება მფლობელის წინაშე, ან როდესაც ბანკი აწარმოებს გაცვლით ოპერაციებს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავენ ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მეანაბრეების მიმართ, სხვა ნასესხებ სახსრებსა და სუბორდინირებულ სესხებს. აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით მინუს პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების ჩამოწერისას, აგრეთვე ცვეთის პროცესში.

საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე ვალდებულება წარმოადგენს თანხებს, რომლებიც მოზიდულია ჯგუფის ლიკვიდურობის მართვის მიზნით. ხოლო სხვა ნასესხები სახსრები მოიცავს თანხებს, რომელიც მიღებულია საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულებების თანახმად ძირითადი საქმიანობის მიზნებისათვის და ჯგუფის კლიენტების საქმიანობის დაფინანსებისათვის.

### საოპერაციო იჯარა – ჯგუფი როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი გრძელვადიან პერიოდში და შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი საანგარიშგებო თარიღით ასახავს ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მაშინდა მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი "ზარალის ფაქტი") და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების საფუძველი შესაძლოა მიგვანიშნებდეს, რომ მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის განრიგს, არსებობს მისი გაკოტრების ალბათობა და სხვა, ან თუ სავარაუდოა სამომავლო ფულადი ნაკადების კლება ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

## 2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

*მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები და კლიენტებზე გაცემული სესხები*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხების შეფასებისას ჯგუფი თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ან კოლექტიურად არამნიშვნელოვნად მიჩნეული ფინანსური აქტივებისათვის. თუ დადგინდა, რომ გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში რომელსაც გააჩნია ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ არის ჩართული გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები მათ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი. თუ შემდგომში გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, უწინ აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის კორექტირებით.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთი გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს გამოყენებული უზრუნველყოფიდან, რომელსაც აკლდება უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის გამოყენება.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ~~ბანკის~~ ჯგუფის შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახული იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს, არ იყოს გათვალისწინებული. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და უკავშირდება წლიდან წლამდე გარკვეული თარიღისათვის მომხდარ ცვლილებებს. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, გადახედვა ხდება რეგულარულად განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

*გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციები*

გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციებისათვის ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ინვესტიციის თუ ინვესტიციათა ჯგუფის გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

## 2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

გასაყიდად არსებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ობიექტური საფუძველი მოიცავს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვან ან გრძელვადიან შემცირებას. თუ არსებობს გაუფასურების საფუძველი, აკუმულირებული ზარალი, (რომელიც შეფასებულია როგორც სხვაობა შესყიდვის ღირებულებასა და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის, მინუს მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში

აღიარებული ინვესტიციის გაუფასურების ზარალი) ამოღებულია სხვა შემოსავლების მუხლიდან და აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. კაპიტალის ინვესტიციების გაუფასურების ზარალის შებრუნება მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების გავლით არ ხდება; გაუფასურების შემდგომ მათი სამართლიანი ღირებულების ზრდა მთლიანად სხვა შემოსავლებში აისახება.

გასაყიდად არსებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, გაუფასურების შეფასება ხდება იმავე კრიტერიუმებით, როგორც ამორტიზებული ღირებულების მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში. სამომავლო საპროცენტო შემოსავალი ეფუძნება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას და ირიცხება საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გამოიყენება გაუფასურების ზარალის შეფასების მიზნით სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. თუ შემდგომ პერიოდში სავალო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდება და ზრდა შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარების შემდგომ მოვლენას, ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

### რესტრუქტურიზებული სესხები

საჭიროების შემთხვევაში დრო და დრო ჯგუფი ახდენს თავის ფინანსური აქტივებნის რესტრუქტურიზაცია. ძირითადად ეს ეხება სესხებს და დებიტორულ დავალიანებებს. აღნიშნული ხორციელდება სამი ძირითადი სცენარის მიხედვით:

- თუ სესხის ვალუტა იცვლება, მაშინ ხდება ძველი სესხის აღიარების შეწყვეტა და წარმოებს ახალი სესხის აღიარების დაწყება, რაც საჭიროებს ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლას. თუ ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალია, მაშინ თავდაპირველი აღიარებით გამოწვეული ზარალი აღიარებული იქნება საანგარიშგებო პერიოდის მოგება–ზარალში;

- თუ სესხის რესტრუქტურიზაცია არ უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიძნელეებს და მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ხელახლა გადაანგარიშებული იქნა, მაშინ სესხი არ მიიჩნევა რიგორც გაუფასურებული. სესხის აღიარების შეწყვეტა არ ხდება და ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა ხდება დარჩენილი პერიოდის ფულადი ნაკადების საფუძველზე. თუ რესტრუქტურიზაციის თარიღისათვის გსანგარიშებული ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საბაზრო განაკვეთზე დაბალია, სესხის ახალი საბალანსო ღირებულება გაანგარიშდება როგორც მისი სამართლიანი ღირებულება რესტრუქტურიზაციის შემდეგ. სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს რესტრუქტურიზაციის თარიღისათვის მოქმედი საბაზრო განაკვეთით დადისკონტირებულ სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე საბაზხრო ღირებულებას. ამ შემთხვევაში, განსხვავება სესხის რესტრუქტურიზაციამდე საბალანსო ღირებულებასა და რესტრუქტურზაციის შემდეგ მის სამართლიან ღირებულებას შორის აღიარებულია როგორც სესხის რესტრუქტურიზაციის შედეგად მიღებული ზარალი.

- თუ სესხის გაუფასურება ხდება რესტრუქტურიზაციის შემდეგ, მაშინ ჯგუფი იყენებს პირველად (ორიგინალურ) საპროცენტო განაკვეთს, რეალურად მოსალოდნელი ფულადი ნაკადებით გადაანგარიშებული მიმდინარე ღირებულულების დისკონტირებისათვის. რეალური ფულადი ნაკადები მოიცავს უზრუნველყოფის რეალიზაციიდან მისაღებ ამონაგებსაც. სესხის რესტრუქტურიზაციამდე მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა შეტანილია მიმდინარე პერიოდის სესხის გაუფასურების ხარჯებში

## 2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

*ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივის მიერ ფულადი სახსრების შემოტანის ვადა;
- ჯგუფმა გადასცა აქტივის მიერ ფულადი სახსრების შემოტანის უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე მესამე პირებისათვის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფის მიერ (ა) გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის, აქტივზე კონტროლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, ბანკის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც გააჩნია გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის უმცირესი საბალანსო ღირებულებით და იმ მაქსიმალური თანხის გათვალისწინებით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ჯგუფს.

როდესაც შემდგომი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შეძენილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ჯგუფის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ჯგუფის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის სააღსრულებო ფასს შორის უმცირესით.

*უმოქმედო სესხები*

ჯგუფის პოლიტიკის თანახმად, უმოქმედო სესხების ჩამოწერა ხორციელდება შემდეგნაირად:

- ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხები ჩამოიწერება ბანკის საკრედიტო კომიტეტის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე;
- სხვა სესხები ჩამოიწერება ინდივიდუალურად, ამ სესხების 150 დღიანი ვადაგადაცილების არსებობის შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში თუ ჯგუფი ამოიღებს თანხას სესხის ჩამოწერის შემდეგ პერიოდში, ამოღებული თანხა აისახება სესხის გაუფასურების რეზერვის ფარგლებში.

*ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც ვალდებულებები აქტივთან მიმართებაში ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას კრედიტორთან ცვლის მეორე, მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან, თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია გულისხმობს საწყისი ვალდებულების ჩამოწერას და ახალი ვალდებულების ასახვას, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

## 2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**ურთიერთჩაქვითვა**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ არსებოს აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების თანხების გაქვითვის იურდიული უფლება და სურვილი წმინდა ღირებულებით წარმოდგენის შესახხებ ან სურვილი აქტივის გაყიდვის იმგვარი პირობებისა, რომელიც შესაბამისი ვალდებულებების გაქვითვას გულისხმობს. ეს არ ეხება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებს და დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები მთლიანად წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

**ფინანსური გარანტიები**

ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივ პროცესში ბანკი გასცემს ფინანსურ გარანტიებს, აკრედიტივებისა და აქცეპტებს. ფინანსური გარანტიები აღირიცხება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით, სხვა ვალდებულებებში, როგორც მიღებული პრემია. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ბანკის ვალდებულებები ყოველი გარანტიისთვის იზომება ამორტიზებულ პრემიასა და იმ ხარჯების მაქსიმალურად ზუსტ გათვლას შორის უმეტესით, რომელიც საჭირო იქნება გარანტიიდან წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების დასაფარად.

ყოველი მატება ვალებულებებში, რაც დაკავშირებულია ფინანანსურ გარანტიებთან, აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მიღებული პრემია აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით გარანტიის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის შესაბამისად.

**გადასახადები**

მიმდინარე მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება ხდება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ვალდებულებათა მეთოდის გამოყენებით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის თავდაპირველი აღიარებიდან თუ აქტივისა და ვალდებულებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც დადგინდა ბალანსის შედგენის დღეს.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის შებრუნების დრო და ახლო მომავალში შებრუნება არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ეს გადასახადები ჩართულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

## 2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღრიცხულია საბალანსო ღირებულებით გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა; მინუს აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების მოცულობა. ამგვარი თანხა მოიცავს ძირითადი საშუალებების ჩანაცვლების ღირებულებას, როდესაც ხარჯი წარმოიშობა თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. შენობა-ნაგებობები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მინუს ცვეთა და გაუფასურების განაკეთი გადაფასების თარიღის შემდგომ. მიწის შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით და მას არ ერიცხება ცვეთა.

დაუმთავრებელი კაპიტალური დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების მშენებლობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აღნიშნული აქტივების ცვეთა, ისევე როგორც მსგავსი კაპიტალური აქტივებისა, იწყება აქტივების ექსპლუატაციაში შესვლისთანავე.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარების შემდგომ შენობა-ნაგებობები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის მინუს შემდგომში აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმაოდ ხშირად იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფაქტი, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან.

გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება უწინ კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ჩართული აქტივის გადაფასებისას მისი მოცულობის კლების შებრუნება. ამ შემთხვევაში მატება აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტი აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი პირდაპირ ქვითავს იმავე აქტივზე უწინ აღიარებულ მატებას, და გამოიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. დამატებით, გადაფასების თარიღისათვის აკუმულირებული ცვეთა იქვითება აქტივის ჯამურ საბალანსო ღირებულებასთან და ხდება მისი წმინდა თანხით ხელახლა ასახვა. გაყიდვისას ცალკეულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის მომსახურებაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

| | *წლები* |
|---|---|
| შენობა-ნაგებობები | 50 |
| კომპიუტერები და საკომუნიკაციო ტექნიკა | 4 |
| ავეჯი და საოფისე მოწყობილობები | 6 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 5 |
| საიჯარო გაუმჯობესებები | შესაბამის საიჯარო პერიოდში |

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

## 2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონება არის მიწა ან შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, რომელიც საქმის ჩვეულებრივი მსვლელობისას, ჯგუფის მიერ არ არის გამოყენებული ან გასაყიდად განკუთვნილი.

საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით, და შემდგომ ხელმეორედ ფასდება სამართლიანი ღირებულებით საბაზრო ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება წარმოდგენილია დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშში, რომლებსაც ანალოგიური მდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება გააჩნიათ.

**არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარიებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია. და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიური ხანგრძლივობის – 5-20 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ინდიკაციის არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდიკისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

**რეზერვები**

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფის გააჩნია წარსული მოვლენიდან გამომდინარე მიმდინარე თუ სავარაუდო ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

**საპენსიო თუ სხვა ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე**

*ჯგუფის* არ გააჩნია საპენსიო სქემა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სქემის გარდა.

**საწესდები კაპიტალი**

*საწესდებო კაპიტალი*

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. გარე ხარჯები, პირდაპირ დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციების გარდა, აღრიცხულია როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

*დივიდენდები*

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი განცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები განცხადებულია როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან განცხადებულია ანგარიშგების შედგენის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

## 2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**პირობითი ვალდებულებები**

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, მაგრამ ნაჩვენებია იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით არის დაბალი. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა ნაჩვენებია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება არის მოსალოდნელი.

**შემოსავალის აღიარება**

შემოსავალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება.

*პროცენტი და შემოსავალი და ხარჯი*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამიზნული ან გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ადისკონტირებს მოსალოდნელ სამომავლო ფულად დაფარვებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის მანძილზე ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფის გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით რომელიც მიესადაგება ახალ საბალანსო ღირებულებას.

*შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან*

ჯგუფი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მისი კლიენტებისათვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურებიდან. შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მოიცავს გარანტიებისა და აკრედიტივების გაცემის საზღაურს და არ ჩაირთვება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

*შემოსავალი დივიდენდებიდან*

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ როცა ჯგუფი მიიღებს თანხების გადახდის უფლებას.

### უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება სებ-ის გაცვლითი კურსით ანგარიშგების შედგენის დღეს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას მინუს ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც აღირიცხება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი საშუალებები, რომლებიც აღირიცხება უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

## 2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### უცხოური ვალუტის კონვერტაცია (გაგრძელება)

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსაა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგებას მინუს ზარალის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2011 წლების 30 ივნისის მდგომარეობით შესაბამისად იყო 1.6665, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1.7728 ლარი 1 აშშ. დოლართან მიმართებაში. 2011 წლის 11 აგვისტოს სებ-ის ოფიციალური კურსი იყო 1.6565 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

*ფუნქციონირებადი საწარმო*

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფის შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ. ჯგუფის ხელმძღვანელობამ გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფის გააჩნია ფულადი სახსრები და მაკონტროლებელი ბანკის ღსს "ბანკი ვეტებე" ფინანსური მხარდაჭერა უახლოეს მომავალში თავისი საქმიანობის გასაგრძელებლად. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

*სესხების გაუფასურების რეზერვი*

ჯგუფის მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მოთხოვნების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. ჯგუფის იყენებს საკუთარ შეფასებებს ნებისმიერი გაუფასურების ზარალის განსაზღვრის მიზნით იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს გააჩნია ფინანსური სირთულეები და ანალოგიურ მსესხებლებთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. ასევე ჯგუფის აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას იმ მოპოვებად მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებობს გაუარესებისკენ ცვლილება ჯგუფში მსესხებლების გადახდის სტატუსისა, ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობისა, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფში აქტივების დეფოლტთან.

საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობილ შეფასებებსა და ანალოგიური სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. ჯგუფის ეყრდნობა საკუთარ შეფასებებს სესხებისა თუ მოთხოვნების სათანადო მონაცემების კორექტირებისათვის მიმდინარე მოვლენების ასახვის მიზნით.

*ქონების გადაფასება*

ჯგუფის რეგულარულად ახდენს ძირითადი საშუალებების (მიწის, საოფისე შენობებისა და საინვესტიციო ქონების) ღირებულების გადახედვას სამართლიან ღირებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და ახდენს გადაფასებას, რათა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მათი სამართლიანი ღირებულებისაგან. ჯგუფი ახდენს გადაფასებას სპეციალური შეფასების ტექნიკისა და ადგილობრივ ბაზარზე განხორციელებული უძრავი ქონების ოპერაციების შესახებ არსებული ინფორმაციის გამოყენებით. თუმცა, აღნიშნული შეფასების მეთოდის გამოყენებით მიღებული შედეგები შესაძლოა ყოველთვის არ შეესაბამებოდეს ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებას. მიწა და შენობები გადაფასებულია საბაზრო ღირებულებასთან მიმართებით 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გადაფასებული შენობები 2010 წლის 1 იანვრიდან აღიარებულია მათი დარჩენილი სიცოცხლის ხანგრძლიობის მიხედვით. ჯგუფის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შენობებისა და მიწის საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების სამართლიანი ღუირებულებისაგან 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ბანკის ძირითადი საშუალებების გადაფასებას ადგილი არ ქონია.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

*საგადასახადო სისტემა*

საქართველოში მოქმედი საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად განმარტების საშუალებას იძლევა. შაკანონმდებლო ცვლილებები არის ხშირი, მოულოდნელი და აქვთ რეტროსპექტიული ეფექტი. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან ამგვარი კანონმდებლობის ინტერპრეტაციები, ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. საქართველოში საგადასახადო ორგანოებს კანონმდებლობის განმარტებასა და შეფასებაში უფრო მეტად აგრესიული პოზიცია უჭირავთ. შესაძლოა რიგ შემთხვევებში შემოწმებისას ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან დამატებით გადასახადებს, ჯარიმებსა და საურავებს. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ შემოწმების თარიღიდან უკანასკნელი ექვსი კალენდარული წლის პერიოდი.

სხვადასხვა ორგანოების მიერ კანონმდებლობის განმარტება შესაძლოა განსხვავდებოდეს. თუ შესაბამისი ორგანო დაამტკიცებს მის მიერ კანონის განმარტების სისწორეს, მას ამის საფუძველზე ჯარიმებისა და საურავების დაწესების უფლება აქვს, რასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

თუმცა, ბანკის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მათ მიერ საკანონმდებლო სისტემისა და საგადასახადო ორგანოთა მიერ ჩატარებული შემოწმებების ანალიზი იძლევა კანონთა სწორად განმარტების საფუძველს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მათ მიერ სათანადო საგადასახადო კანონმდებლობის განმარტება მისაღები იქნება. უფრო მეტიც, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის დარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.

*გადავადებული საგადასახადო აქტივები*

გადავადებული საგადასახადო აქივები აღიარებულია საგადასახადო ზარალის მიმართ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც აღიარებული იქნება საგადასახადო მოგება, რომლის წინააღმდეგაც შესაძლებელი იქნება ზარალის გამოქვითვა. იმის დასადგენად, თუ რა ოდენობის გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება უნდა მოხდეს, საჭიროა შეფასება მომავალი დასაბეგრი მოგებისა, ვადიანობისა და დონის მიხედვით, მომავალ საგადასახადო დაგეგმარების სტრატეგიებთან ერთად.

**ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შემოღება**

**წლის განმავლობაში ჯგუფმა მიიღო შემდეგი ახალი ფასს სტანდარტები და მათი ცვლილებები. ძირითადი ცვლილებების შედეგები იხილეთ ქვემოთ:**

## 4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და ახალი ან კორექტირებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციის შემოღება

**ცვლილებები ბასს 39–ში „ფინანსური ინსრუმენტები: აღიარება და შეფასება“– შესაძლო ჰეჯირების პუნქტები**
ცვლილებები ბასს 39–ში გამოქვეყნდა 2008 წლის აგვისტოში და ძალაშია 2008 წლის 1 ივლისს დაწყებული წლიური პერიოდისთვის. ცვლილებებით განხილულია ჰეჯირებულ პუნქტში ცალხმრივი რისკის განსაზღვრა, ხოლო ინფლაციის განსაზღვრა ჰეჯირებული რისკის ან ნაწილის გარკვეულ სიტუაციაში. ცვლილების მიხედვით საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სამართლიანი ღირებულების ცვლილებების ნაწილი ან ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი სახსრების მოძრაობის ცვალებადობა, როგორც ჰეჯირებული პუნქტი. ცვლილებები გავლენას არ მოახდენს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან ბანკს გაფორმებული არ აქვს არცერთი ამგვარი ჰეჯი.

**ფასს 3 „ბიზნესკომბინაციები“ (შესწორებულია 2008 წლის იანვარში) და ბასს 27 „კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშგება“ (შესწორებულია 2008 წლის იანვარში)**
კორექტირებული სტანდარტი გამოქვეყნდა 2008 წლის იანვარში და ძალაშია 2009 წლის 1 ივლისს დაწყებული წლიური პერიოდისთვის. კორექტირებულ ფასს 3–მა შემოიტანა მთელი რიგი ცვლილებები ბიზნესკომბინაციების აღრიცხვაში, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს აღიარებული გუდვილის ღირებულებაზე, შეძენის პერიოდში გამოქვეყნებულ შედეგებზე და მომავალში გამოსაქვეყნებელ შედეგებზე.
განახლებული ბასს 27 მოითხოვს, რომ ცვლილებები შვილობილ კომპანიების წილში გაანგარიშდეს როგორც სააქციო კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაცია. შესაბამისად, ამგვარი ცვლილება ზეგავლენას არ მოახდენს გუდვილზე, ასევე არ წარმოქმნის მოგებას ან ზარალს. გარდა ამისა, შესწორებული სტანდარტი ცვლის შვილობილი კომპანიის მიერ წარმოქმნილი ზარალის აღრიცხვას ისევე როგორც შვილობილი კომპანიის კონტროლის დაკარგვას.

## 4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და ახალი ან კორექტირებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციის შემოღება (გაგრძელება)

**ფასს 2** „გადახდები წილობრივი ინსტრუმენტებით: - *ჯგუფის გარიგება წილობრივი ინსტრუმენტების საფუძველზე ფულადი სახსრების გადახდით.*
ცვლილებები ფასს 2–ში გამოქვეყნდა 2009 წლის ივნისში და ძალაშია 2010 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდისთვის. ცვლილებები განმარტავს აღრიცხვას წილობრივი ინსტრუმენტების საფუძველზე ფულადი სახსრების გადახდით ჯგუფის გარიგებისთან მიმართებით. აღნიშნული ცვლილება აბათილებს ფაისკ 8 და ფაისკ 11. აღნიშნულ ცვლილებას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია. .

**ფაისკ 17 „არაფულადი აქტივების განაწილება მფლობელებზე“**
ფაისკ 17 ინტერპრეტაცია გამოქვეყნდა 2008 წლის 27 ნოემბერს და ძალაშია 2009 წლის 1 ივლისს დაწყებული წლიური პერიოდისთვის. ფაისკ 17 გამოიყენება არაფულადი აქტივების პროპორციულად განაწილებისთვის გარდა ერთობლივი კონტროლის გარიგებებისა და მოითხოვს, რომ გადასახდელი დივიდენდი აღიარებულ უნდა იქნას როდესაც ის არის სათანადოდ სანქციონირებული და აღარ არის ერთეულის განკარგულებაში; გადასახდელი დივიდენდი ერთეულის მიერ უნდა შეფასდეს გადასანაწილებელი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულებით ; ერთეულმა უნდა აღიაროს გადასახდელ დივიდენდსა და მოგებაში ან ზარალში განაწილებული წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა. აღნიშნული ინტერპრეტაცია ასევე მოითხოვს ერთეულისგან წარმოადგინოს დამატებითი გამჟღავნება, თუ მფლობელებზე გასანაწილებლად განკუთვნილი წმინდა აქტივი შეესაბამება შეწყვეტილი ოპერაციის დეფინიციას. აღნიშნულ ცვლილებას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

**ფასს–ების სრულყოფა**
2009 წლის აპრილში საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭომ გამოუშვა სტანდარტების დამატებების მეორე კრებული, ძირითადად უზუსტობების აღმოსაფხვრელად და უფრო ზუსტი ფორმულირებისთვის. ცვლილებების უმეტესი ნაწილი ძალაშია 2010 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდისთვის. თითოეული სტანდარტისთვის გათვალისწინებულია გარდამავალი პირობები. 2009 წლის აპრილში შემოღებული ცვლილებები „ფასს–ების სრულყოფა“ ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობაზე გავლენა არ მოუხდენია, გარდა შემდეგი ცვლილებებისა, რომლებმაც გამოიწვია სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანა, როგორც ქვემოდ არის აღწერილი.

* ფასს 5 „გასაყიდად განკუთვნილი არასაბრუნავი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები:

განმარტავს, რომ გასაყიდად ან შეწყვეტილ საქმიანობად კლასიფიცირებულ არასაბრუნავ აქტივებთან და გასხვისების ჯგუფებთან დაკავშირებით აუცილებელი გამჟღავნება ვრცელდება მხოლოდ ფასს 5 . გამჟღავნების მოთხოვნა სხვა ფასს–ებთან მიმართებით გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს წარმოადგენს განსაკუთრებულ მოთხოვნას ამგვარ არასაბრუნავ აქტივებსა ან შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებით.
ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება: ხაზგასმით გაწერს, რომ მხოლოდ ის დანახარჯი, რომელიც შედეგად აქტივის აღიარებას იწვევს, შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას ფულად ნაკადად საინვესტიციო საქმიანობიდან.

## 5. ფული და ფულადი ეკვივალენტები

| ფული და ფულადი ეკვივალენტები შედგება: | *30.06.2011* | *31.12.2010* |
|---|---|---|
| ნაღდი ფული | 14,387 | 18,348 |
| მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში | 4,614 | 9,864 |
| ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო დაწესებულებებში | 13,868 | 4,501 |
| მიმდინარე დეპოზიტები სებ-ში | 7,110 | 3,475 |
| ვადიანი დეპოზიტები სებ-ში | 7,370 | 1,800 |
| **ფული და ფულადი ექვივალენტები** | **47,349** | **37,988** |

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მთლიანი მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებების 68% ორ არარეზიდენტ საკრედიტო დაწესებულებაშია განთავსებული (2010 – 67%). 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჯგუფის მიერ განხორციელებული არაფულადი ტრანზაქციები 171 ლარის ოდენობით (2010 – 219 ლარი) უკავშირდება სასაქონლო მარაგებისა და ძირითადი საშუალებების შეძენას და 1,106, ლარის ოდენობით (2010-3,989 ლარი) საინვესტიციო ქონების შეძენას.

## 6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

| | 30.06.2011 | 31.12.2010 |
|---|---|---|
| სავალდებულო რეზერვი სებ-ში | 26,866 | 9,472 |
| ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო დაწესებულებებში | 1,483 | 2,111 |
| **ჰოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ** | **28,349** | **11,583** |

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში საპროცენტო სარგებლის მქონე დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. ბანკი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი არ არის გამოიტანოს დეპოზიტზე არსებული თანხები.

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, როგორც 2010 წელში სარეზერვო ანგარიშზე აშშ დოლარით განთავსებულ მინიმალურ რეზერვზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია, როგორც აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის განაკვეთს მინუს 0,5 პროცენტული პუნქტი, მაგრამ არანაკლებ ნულისა; სარეზერვო ანგარიშზე ევროთი განთავსებულ მინიმალურ რეზერვზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია, როგორც ევროპის ცენტრალური ბანკის განაკვეთს მინუს 0,5 პროცენტული პუნქტი, მაგრამ არანაკლებ ნულისა;

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 1,483 ლარი (2010 -1,577 ლარი) შემავალი ვადიან დეპოზიტებში საკრედიტო დაწესებულებებში, განთავსებული იყო გრძელვადიან დეპოზიტზე და ჰქონდა უზრუნველყოფის სახე კონტრაგენტი ბანკის ოპერაციებისათვის. აღნიშნული თანხიდან 924 ლარი განთავსებული იყო ორ ქართულ ბანკში (2010- 983 ლარი), 475 ლარი – ერთ ბელგიურ ბანკში (2010– 505) და 84 ლარი 1 აშშ ბანკში (2010- 89 ლარი).

## 7. კლიენტებზე გაცემული სესხები

| | 30.06.2011 | 31.12.2010 |
|---|---|---|
| კორპორატიული სესხები | 119,713 | 132,308 |
| სამომხმარებლო სესხები | 62,668 | 51,817 |
| სესხები მცირე ბიზნესისათვის | 50,350 | 42,264 |
| დეპოზიტით უზრუნველყოფილი ფიზიკური პირებისსესხები | 5,325 | 5,716 |
| სხვა სესხები ფიზიკური პირებისათვის | - | 2,159 |
| **კლიენტებზე გაცემული ჯამური სესხები** | **238,056** | **234,264** |
| მინუს-გაუფასურების რეზერვი | (29,910) | (33,806) |
| **კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა** | **208,145** | **200,458** |

## 7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

*კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი*

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის შედარება ტიპების მიხედვით შემდეგია:

| | *კორპორატიული სესხები 2010* | *სამომხმარებლო სესხები 2010* | *სესხები მცირე ბიზნესისათვის 2010* | *სხვა სესხები ფიზიკური პირებისათვის 2010* | *სულ 2010* |
|---|---|---|---|---|---|
| 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 28,814 | 1,008 | 5,553 | 4,594 | **39,969** |
| წლის დანარიცხი | 21,081 | (922) | 1,075 | 1779 | **23,013** |
| უწინ ჩამოწერილი სესხების აღდგენა | 6,421 | 1,880 | 3,262 | 419 | **11,982** |
| ჩამოწერილი თანხები | (30,368) | (1,276) | (3,779) | (5,735) | **(41,158)** |
| **2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **25,948** | **690** | **6,111** | **1,057** | **33,806** |
| ინდივიდუალური გაუფასურება | 23,431 | - | 360 | 704 | **24,495** |
| კოლექტიური გაუფასურება | 2,517 | 690 | 5,751 | 353 | **9,311** |
| | **25,948** | **690** | **6,111** | **1,057** | **33,806** |
| ინდივიდუალურად შეფასებული და გაუფასურებულად მიჩნეული სესხების ჯამური თანხა , ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე | 44,071 | - | 981 | 1,409 | **46,461** |

2010 წლის ჩამოწერილ სესხებში შედიან ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი კორპორატიული სესხები საერთო თანხით 29,009 ლარი. ჯგუფის პოლიტიკის მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილება დამტკიცებულ იქნა ჯგუფის საკრედიტო კომიტეტის მიერ.

| | *კორპორატიულისესხები 2011 (2კვარტალი)* | *სესხებიმცირებიზნესისათვის 2011 (2კვარტალი)* | *სამომხმარებლოსესხები 2011 (2კვარტალი)* | *სხვასესხებიფიზიკური პირებისათვის 2011 (2კვარტალი)* | *სულ 2011 (2კვარტალი)* |
|---|---|---|---|---|---|
| 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 25,948 | 690 | 6,111 | 1,057 | **33,806** |
| წლის დანარიცხი | (3,513) | (552) | (3,533) | (1,057) | **(8,655)** |
| წინ ჩამოწერილისესხების აღდგენა | 3,681 | 623 | 729 | | **5,033** |
| ჩამოწერილი თანხები | (166) | (108) | - | - | **(274)** |
| **2011წლის 30 ივნისის მდგომარეობით** | **25,951** | **652** | **3,307** | | **29,910** |
| Iნდივიდუალური გაუფასურება | 20,383 | 271 | 322 | - | **20,976** |
| ოლექტიური გაუფასურება | 5,568 | 381 | 2,985 | - | **8,934** |
| | **25,951** | **652** | **3,307** | **-** | **29,910** |
| ინდივიდუალურადშეფასებული და გაუფასურებულად მიჩნეული სესხების ჯამური თანხა , ინდივიდუალურადშეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე. | 33,793 | 541 | 913 | - | 35,247 |

## 7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

*ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები*

დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, სესხებზე, რომელთათვისაც აღიარებულ იქნა ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვი, 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შედგება 1,084 ლარისაგან (2010- 4,742ლარი).

*სესხის უზრუნველყოფა*

უზრუნველყოფისათვის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- კომერციული სესხებისათვის უძრავი ქონება, სასაქონლო მატერიალური მარაგები, სავაჭრო მოთხოვნები და საბანკო გარანტიები.
- საცალო სესხებისათვის საცხოვრებელი ფართის გირაო, სასაქონლო მატერიალური მარაგები, საყოფაცხოვრებო აქტივები და მესამე მხარეთა გარანტიები.

ჯგუფი ასევე იღებს გარანტიებს მშობელი კომპანიებიდან მათ შვილობილ კომპანიებთან მიმართებაში.

ჯგუფი ახდენს უზრუნველყოფის მოცულობის მონიტორინგს. ჯგუფმა შესაძლოა მსესხებლისგან მოითხოვოს დამატებითი უზრუნველყოფა სესხის ხელშეკრულების თანახმად. გაუფასურების ზარალთან დაკავშირებით, მიღებული უზრუნველყოფის სარეალიზაციო ღირებულება ფასდება რიგ პროდუქტთან მიმართებაში ლიკვიდურობისა და სასარგებლო სიცოცხლის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

2011 წლის 30 ივნისამდე ბანკმა დაისაკუთრა უზრუნველყოფა (მიწა და შენობები) დასაკუთრების მომენტში არსებული თვითღირებულებით 4,664 ლარი (2010- 4,266 ლარი), რომელიც კლასიფიცირებული იყო როგორც საინვესტიციო ქონება იხილეთ შენიშვნა 11.

ჯგუფის პოლიტიკით, უზრუნელყოფიდან შერჩენილი აქტივები უნდა გაიყიდოს. საფასური გამოიყენება დასაფარი მოთხოვნების შესამცირებლად. ზოგადად, ჯგუფი არ იყენებს უზრუნველყოფიდან შერჩენილ აქტივებს ბიზნესის მიზნებისათვის.

*კლიენტებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია*
2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნდა სესხების კონცენტრაცია 79,862 ლარის ოდენობით გაცემული ათი უმსხვილესი მესამე მხარისათვის (მთლიანი სასესხო პორტფელის 33.5%) (2010–88,069 ანუ 37.5%). აღნიშნული სესხებისათვის აღიარებულ იქნა რეზერვი მოცულობით 20,569 ლარი (2010- 21,086 ლარი).

სესხები გაცემულ იქნა კლიენტების შემდეგ ტიპებზე:

| | *30.06.2011* | *31.12.2010* |
|---|---|---|
| კერძო კომპანიები | 161,710 | 165,876 |
| ფიზიკური პირები | 76,346 | 68,388 |
| ჯამური სესხები გაცემული კლიენტებზე | 238,056 | 234,264 |

## 7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

2011 წლის 30 ივნისისა და 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაცემა ხდებოდა საქართველოში, შემდეგ სექტორებზე:

| | *30.06.2011* | *31.12.2010* |
|---|---|---|
| ვაჭრობა და მომსახურება | 103,098 | 91,375 |
| ფიზიკური პირები | 76,345 | 68,388 |
| უძრავი ქონების მშენებლობა | 37,336 | 32,818 |
| ენერგეტიკა | 887 | 31,059 |
| სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტები | 669 | 1,809 |
| წარმოება | 9,163 | 1,077 |
| ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები | 2,009 | 1,036 |
| სხვა | 8,549 | 6,702 |
| ჯამური სესხები გაცემული კლიენტებზე | 238,056 | 234,264 |

## 8. დაფარვის ვადამდე ფლობილადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დაფარვის ვადამდე ფლობადი ფასიანი ქაღალდები შედგება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდებისაგან მთლიანი საბალანსო ღირებულებით 20,454 (2010 – 15,534) ამასთან 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების მთლიანი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 15,848 ლარს.

## 9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების დინამიკა 2011 წლის 30 ივნისისა და 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

| | *მიწა და შენობა ნაგებობები* | *კომპიუტერები და კომუნიკაციები* | *ავეჯი და საოფისე მოწყობილობები* | *სატრანსპორტო საშუალებები* | *შაიჯარო გაუმჯობესებები* | *დაუმთავრებელი კაპიტალდაბანდება* | *სულ* |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2009 წლის 31 დეკემბერი** | **25,414** | **5,297** | **3,209** | **1,928** | **321** | **3,031** | **39,200** |
| მატება | - | 1,190 | 516 | 527 | - | 1,371 | 3,604 |
| გადატანა | 2,228 | - | 580 | - | - | (2,808) | -- |
| კლება | (884) | (294) | (330) | (36) | (29) | (230) | (1,803) |
| **2010 წლის 31 დეკემბერი** | **26,758** | **6,193** | **3,975** | **2,419** | **292** | **1,364** | **41,001** |
| მატება | 1,644 | 143 | 155 | 25 | - | 1,864 | 3,831 |
| გადატანა | - | - | - | - | - | - | -- |
| კლება | - | - | (14) | (60) | - | (344) | (418) |
| **2011 წლის 30 ივნისი** | 28,402 | 6,336 | 4,116 | 2,384 | 292 | 2,884 | 44,414 |
| | | | | | | | |
| **2009 წლის 31 დეკემბერი** | (2,276) | (3,942) | (1,737) | (1,121) | (81) | - | (9,157) |
| ცვეთის დანარიცხი | (578) | (766) | (516) | (379) | (34) | - | (2,273) |
| **რეალიზაცია** | 94 | 293 | 244 | 19 | 29 | - | 679 |
| **2010 წლის 31 დეკემბერი** | (2,760) | (4,415) | (2,009) | (1,481) | (86) | - | (10,751) |
| მატება | (245) | (419) | (251) | (198) | (17) | - | (1,130) |
| კლება | (23) | 27 | 9 | 60 | - | - | 73 |
| **2011 წლის 30 ივნისი** | **(3,028)** | **(4,807)** | **(2,251)** | **(1,619)** | **(103)** | **-** | **(11,808)** |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | | | | | |
| | | | | | | | |
| **31 დეკემბერი 2009** | 23,138 | 1,355 | 1,472 | 807 | 240 | 3,031 | 30,043 |
| **31 დეკემბერი 2010** | 23,998 | 1,778 | 1,966 | 938 | 206 | 1,364 | 30,250 |
| **30 ივნისი 2011** | 25374 | 1529 | 1865 | 765 | 189 | 2,884 | 32,607 |

## 9. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

. 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ექსპლუატაციაში მყოფი, მაგრამ სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების მთლიანი ღირებულება შეადგენდა 5,077 ლარს (2010- 3,940 ლარი). გადაფასების ეფექტის გათვალისწინების გარეშე ძირითადი საშუალებების "მიწა და შენობა ნაგებობების" კატეგორიის თავდაპირველი ღირებულება 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენდა 24,174 ლარს (2010–23,891 ლარი), ხოლო დარიცხული ცვეთა– 2,827 ლარი (2010–2,588 ლარი).

## 10. საინვესტიციო ქონება

| | 30.06.2011 | 31.12.2010 |
|---|---|---|
| საწყისი ბალანსი 1 იანვრის მდგომარეობით | 17,897 | 13,925 |
| კლება | (4,626) | (376) |
| მატება | 4,664 | 4,266 |
| რეკლასიფიკაცია ძირითადი საშუალებებიდან | | 12 |
| გადაფასება | 640 | 70 |
| **საბოლოო ბალანსი 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **18,575** | **17,897** |

საინვესტიციო ქონება არის უძრავი ქონება რომელიც შედგება მიწისა და შენობებისაგან რომლებიც ჯგუფმა მიიღო დაუფარავი სესხების გირაოს დასაკუთრებით. იხილეთ შენიშვნა 8.

## 11. გადასახადები

მოგების გადასახადის სარგებელი შეადგენს:

| | 30.06.2011 | 30..06.2010 |
|---|---|---|
| მიმდინარე საგადასახადო სარგებელი (ხარჯი) | (1988) | 738 |
| მინუს: გადავადებული გადასახადი, პირდაპირ აღიარებული სხვა სრულ შემოსავლებში | - | - |
| **მოგების გადასახადის სარგებელი** | **(1988)** | **738** |

საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს მოეთხოვებათ ინდივიდუალური საგადასახადო დეკლარაციების შევსება. 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მოგების გადასახადის განაკვეთი ბანკებისათვის საქართველოში 15% შეადგენს ხოლო სხვა კომპანიებისთისაც 15%. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით შემოსავალი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან არ იბეგრება.

ეფექტური მოგების გადასახადის განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისაგან. ქვემოთ მოცემულია მოგების გადასახადის ხარჯის შედარება ეფექტური და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთებისათვის:

გადასახადები (გაგრძელება)

| | 30.06.2011 | 30.06.2010 |
|---|---|---|
| **ზარალი (მოგება) დაბეგვრამდე** | **(14,768)** | **12,542** |
| კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი | 15% | 15% |
| **თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით** | **(2.215)** | **1.881** |
| ცვლილება აუღიარებელ გადავდებულ საგადასახადო აქტივში | (4) | (1.154) |
| არაგამოქვითვადი ხარჯები | (70) | (17) |
| საპროცენტო შემოსავალი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან | 269 | 28 |
| სხვა შემოსავალი რომელიც არ ექვემდებარება დაბეგვრას და | - | - |
| მხოლოდ საგადასახადო წიგნებში აღრიცხული შემოსავალი | 32 | - |
| **მოგების გადასახადის შემოსავალი** | **(1.988)** | **738** |

## 11. გადასახადები (გაგრძელება)

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში მოიცავს:

| | | *დროებითი სხვაობების წარმოშობა და შებრუნება* | | | *დროებითი სხვაობების წარმოშობა და შებრუნება* | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | *2009 (კორექტირებული)* | *გადავადებული გადასახადი აღიარებული მოგება ზარალში* | *გადავადებული გადასახადი აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში* | *31.12.2010* | *გადავადებული გადასახადი აღიარებული მოგება-ზარალში* | *გადავადებული გადასახადი აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში* | *30.06.2011* |
| **გადასახადის შედეგი გამოქვითვად დროებით სხვაობაზე: :** | | | | | | | |
| სესხის გაუფასურების რეზერვი | 1,157 | (651) | - | 506 | 55 | | 561 |
| მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალი | 10,129 | 3,383 | - | 13,512 | (2,280) | | 11,232 |
| დარიცხული საპროცენტო ხარჯი | - | - | - | - | | | - |
| ფინანსური ინსტრუმენტების კორექცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად | - | 19 | - | 19 | 336 | | 355 |
| დარიცხული ხარჯი | 648 | (57) | - | 591 | (34) | | 557 |
| გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 161 | 1 | - | 162 | - | | 162 |
| საინვესტიციო ქონება | 76 | (22) | - | 54 | (54) | | - |
| სხვა | 12 | 19 | - | 31 | (7) | | 24 |
| **მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები** | **12,183** | **2,692** | - | **14,875** | **(1,984)** | | **12,891** |
| არაღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები | (5,113) | (1,747) | - | (6,860) | (5) | | (6,865) |
| **გადავადებული საგადასახადო აქტივები** | **7,070** | **945** | - | **8015** | **(1,989)** | | **6026** |
| **გადასახადის შედეგი დასაბეგრ დროებით სხვაობაზე:** | | | | | | | |
| ძირითადი საშუალებები | (175) | (143) | - | (318) | 128 | | (190) |
| ძირითადი საშუალებების გადაფასება | (396) | - | | (396) | - | | (396) |
| გაუფასურების და სხვა დანაკარგების რეზერვი | - | (44) | | (44) | (10) | | (54) |
| ფინანსური ინსტრუმენტების კორექტირება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით | (45) | 45 | | - | (3) | | (3) |
| საინვესტიციო ქონება | - | - | | - | (54) | | (54) |
| სხვა | - | - | | - | (60) | | (60) |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულება | (616) | (142) | | (758) | 1 | | (757) |
| **წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები** | **6,454** | **803** | | **7,257** | **(1,988)** | | **5,269** |

## 11. გადასახადები (გაგრძელება)

ჯგუფისათვის ხელმისაწვდომია 3,482 ლარის ოდენობის მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალი, რომლის ვადა ამოიწურება 2012 წელს, 39,604 ლარი, რომლის ვადა ამოიწურება 2013 წელს, 9,213 ლარი, რომლის ვადა ამოიწურება 2014 წელს, 22,549 ლარი, რომლის ვადა ამოიწურება 2015 წელს და 29 ლარის ოდენობის მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალი, რომლის ვადა ამოიწურება 2016 წელს.

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მიმდინარე მოგების საგადასახადო აქტივები 51 ლარს (2010- 286 ლარს) შეადგენს და უკავშირდება მიმდინარე წლის საპროცენტო შემოსავალს რომელიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან და რომელიც შეიძლება გამოქვითული იყოს მომავალში საგადასახადო ვალდებულებებში. .

## 12. სხვა აქტივები და ვალდებულებები

| სხვა აქტივები მოიცავს: | *30.06.2011* | *31.12.2010* |
|---|---|---|
| დაუსრულებელი ანგარიშსწორება | 637 | 854 |
| არამატერიალური აქტივები | 730 | 794 |
| გასაყიდად არსებული აქტივები | - | 595 |
| მარაგები ძირითადი საქმიანობისთვის | 529 | 388 |
| გადახდილი ავანსები | 905 | 320 |
| წინასწარ გადახდილი ხარჯები | 640 | 277 |
| დასაკუთრებული გირაო | 181 | 181 |
| წინასწარ გადახდილი საოპერაციო გადასახადი | 261 | 87 |
| გარანტიებზე და აკრედიტივებზე დარიცხული მისაღები საკომისიო | 10 | . 15 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 92 | 15 |
| **სხვა** | 384 | 30 |
| **მთლიანი სხვა აქტივები** | 4,369 | **3,556** |

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

| | *30.06.2011* | *31.12.2010* |
|---|---|---|
| დარიცხული ბონუსი | 1,758 | 2,896 |
| დაუსრულებელი ფულადი გადარიცხვები | 312 | 1,072 |
| გადახდილი ავანსები | 46 | 876 |
| დარიცხული ხარჯები | 696 | 628 |
| გამოუყენებელი შვებულების დაგროვება | 956 | 542 |
| | 322 | 330 |
| რეზერვი იურიდიული მოთხოვნების მიხედვით | | |
| ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათებით | 263 | 308 |
| ბანკის აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდები | 233 | .233 |
| ძირითადი საშუალებების შეძენა(შენიშვნა6) | 171 | 219 |
| გადასახდელი საოპერაციო გადასახადები | 16 | 14 |
| წარმოებული ფინანსური ვალდებულება | 55 | 66 |
| **–სხვა ვალდებულებები** | 4,828 | 7,184 |

## 12. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები წარმოადგენდნენ უცხოური ვალუტის გაცვლის ფორვარდულ ოპერაციებს რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიებში მიეკუთვნებოდა მეორე დონეს..

სხვა გაუფასურების რეზერვების მოძრაობა შემდეგია:

| | *სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი* | *რეზერვი იურიდიული მოთხოვნის მიხედვით* | *სულ* |
|---|---|---|---|
| **2009 წლის 31 დეკემბერი** | - | 2,687 | 2,687 |
| დანარიცხი | 38 | 461 | 499 |
| ჩამოწერილი | (38) | - | (38) |
| რეზერვის გამოყენება | - | (2,818) | 2,818 |
| **2010 წლის 31 დეკემბერი** | - | 330 | 330 |
| **დანარიცხი** | 421 | - | 421 |
| **ჩამოწერილი** | | | |
| რეზერვის გამოყენება | (6) | - | (6) |
| | - | (8) | (8) |
| **2011 წლის 30 ივნისი** | 415 | 322 | 737 |

2010 წლის 25 ოქტომბრისგადაწყვეტილებით შპს”კავკასუს ონლაინის” სარჩელი დაკმაყოფილდა, ბანკს დაეკისრა მომსახურების საფასური 274 ლარი, ჯარიმა- 55 ლარი, 5 ლარი ბაჟი. ადვოკატის ხარჯებზე 11 ლარის ნაწილში შპს”კავკასუს ონლაინს” ეთქვა უარი. აღნიშნული გადაწყვეტილება ბანკმა გაასაჩივრა, სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით ბანკის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხები განახევრდა), კერძოდ ბანკს შპს”კავკასუს ონლაინის” წინააღმდეგ დაეკისრა – საფასური 137 ლარი, ჯარიმა - 27 ლარი და სასამართლო ხარჯი 3 ლარი ბაჟი.

ამ ეტაპზე 2011 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება გაასაჩივრა როგორც ბანკმა, ასევე შპს”კავკასუს ონლაინმა”, ჯერ საკასაციო საჩივრები დასაშვებობის სტადიაზეა და საქმის განხილვა არ დაწყებულა. 2011 წლის 16 ივნისს ბანკმა საკასაციო საჩივრისათვის გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 8 ლარი.

## 13. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

| | *30.06.2011* | *31.12.2010* |
|---|---|---|
| ვადიანი დეპოზიტები და სესხები | 35,453 | 5,323 |
| მიმდინარე ანგარიშები | 326 | 321 |
| **ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ** | 35,779 | 5,644 |

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს ღსს „ბანკ ვეტებე “–სგან მიღებულ კრედიტს საერთო ოდენობით 26,753 ლარი (2010– 5.323 ლარი ), დაფარვის ვადა–მერყეობს 3 დან 6 თვემდე, წლიური საპროცენტო განაკვეთი კი 2.62% დან-3.52% მდე (2010–4.18%). მიმდინარე ანგარიშები ასევე მოიცავს ღსს „ბანკ ვეტებე“–სგან მიღებულ სახსრებს 186 ლარის ოდენობით (2010–186).

## 14. ვალდებულებები კლიეტების წინაშე

**ფიზიკური პირები:**

| | *30.06.2011* | *31.12.2010* |
|---|---|---|
| მიმდინარე/მოთხოვნამდე ანგარიშები | 26,966 | 27,922 |
| ვადიანი დეპოზიტები | 44,345 | 53,357 |
| **სულ ვალდებულებები ფიზიკურ პირთა წინაშე** | 71,311 | 81,279 |
| მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიში | 9,929 | 15,436 |
| ვადიანი დეპოზიტები | 65 | 242 |
| **სულ ვალდებულებები სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციების წინაშე** | 9,994 | 15,678 |
| მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიში | 81,099 | 66,389 |
| ვადიანი დეპოზიტები | 12,796 | 17,230 |
| **სულ ვალდებულებები კერძო საწარმოებების წინაშე** | 93,895 | 83,619 |
| სულ ვალდებულებები იურიდიულ პირთა წინაშე | 103,889 | 99,297 |
| **სულ ვალდებულებები კლიენტების წინაშე** | 175,200 | 180,576 |
| **გარანტიების უზრუნველყოფა** | 389 | 472 |
| **აკრედიტივის უზრუნველყოფა** | 0 | 378 |
| **ანგარიშსწორების ოპერაციების უზრუნველყოფა** | 6 | 6 |

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ათი უმსხვილესი მეანაბრე კლიენტის მიმართ, მთლიანი ვალდებულება შეადგენდა 55,682 (31.8%) (2010 53,078 ლარს (29%)).

დეპოზიტი კლიენტის მოთხოვნისას. თუ ვადიანი დეპოზიტი დაბრუნებულ იქნა კლიენტისთვის ვადის გასვლამდე, დეპოზიტზე პროცენტის გადახდა ხდება მოთხოვნამდე დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთით, თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული ხელშეკრულებაში.

კლიენტთა ანგარიშების ანალიზი დარგების მიხედვით შემდეგია:

| | *30.06.2011* | *31.12.2010* |
|---|---|---|
| ფიზიკური პირები | 71,311 | 81,279 |
| ვაჭრობა და მომსახურება | 27,369 | 26,072 |
| ტრანსპორტი და კომუნიკაცია | 30,063 | 23,141 |
| სახელმწიფო | 9,994 | 14,589 |
| დაზღვევა | 11,053 | 10,782 |
| ენერგეტიკა | 9,258 | 8,331 |
| უძრავი ქონების მშენებლობა | 8,401 | 6,785 |
| წარმოება | 1,441 | 2,484 |
| საწვავი | 1,920 | 2,339 |
| სხვა | 4,390 | 4,774 |
| **ვალდებულებები კლიენტების წინაშე** | 175,200 | 180,576 |

## 15 .სხვა ნასესხები სახსრები

| | 30.06.2011 | 31.12.2010 |
|---|---|---|
| კომერციული ბანკებიდან ნასესხები სახსრები | 38,821 | 42,097 |
| საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებიდან ნასესხები სახსრები | 19,369 | 21,579 |
| სხვა ნასესხები სახსრები | **58,190** | **63,676** |

2005 წლის 25 ოქტომბერს ბანკმა მშობელ ბანკთან დადო ხელშეკრულება 12,000 აშშ დოლარის მთლიანი ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე. საპროცენტო განაკვეთი LIBOR+6%-ითგანისაზღვრა, 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სესხის დაუფარავი თანხა 20,239 ლარს შეადგენდა (2010-21,534 ლარი). ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში სესხის დაფარვა მოხდება მხოლოდ ბანკის ძირითადი კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდგომ.

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები მოზიდული იყო აშშ დოლარსა და ევროში, მათი გადახდის ვადა მერყეობდა 2011 წლის სექტემბრიდან 2032 წლის დეკემბრამდე (2010 წელს– 2011 წლის აპრილიდან 2032 წლის დეკემბრამდე), ხოლო საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრებოდა ლიბორ +3–დან ლიბორ +6.5%–დე და ერთი კრედიტი, რომლის განაკვეთი იყო 0.75% (2010 — ლიბორ +3–დან ლიბორ +6.5%–დე ;0.75%).

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომერციული ბანკებიდან ნასესხები სახსრები მოზიდული იყო აშშ დოლარში, მათი დაბრუნების ვადა მერყეობდა 2011 წლის ივლისიდან 2014 წლის ივნისამდე (2010– 2011 წლის ივლისიდან 2012 წლის სექტემბრამდე), ხოლო საპროცენტო განაკვეთი 2.54%–დან 7.12%–მდე და ერთი კრედიტი, რომლის განაკვეთი იყო ლიბორ +2%. (2010– 5.18%–დან 10.945%–მდე; ლიბორ +2%.).

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრები მოიცავდნენ სახსრებს მშობელი ბანკიდან 34,436 ლარის ოდენობით (2010: 35,878 ლარი) საკონტრაქტო ვადებით 2011 წლის ივლისიდან 2014 წლის ივნისამდე (2010: 2011 წლის ივლისიდან 2012 წლის სექტემბრამდე) და საპროცენტო განაკვეთებით 2.54%-დან 7.12%-მდე (2010: 5.81%-დან 10.95%-მდე -მდე).

## 16. კაპიტალი

| | *აქციების რაოდენობა გაცხადებულ კაპიტალში* | *აქციების რაოდენობა განაღდებულ კაპიტალში* | *ნომინალური რაოდენობა* |
|---|---|---|---|
| **2009 წლის 31 დეკემბერი** | 104,575,002 | 104,542,701 | 104,543 |
| აქციების ემისია | 43,500,000 | 43,500,000 | 43,500 |
| **2010 წლის 31 დეკემბერი** | 148,075,002 | 148,042,701 | 148,043 |
| **2011 წლის 30 ივნისი** | 148,042,701 | 148,042,701 | 148,043 |

ბანკის სააქციო კაპიტალში აქციონერთა მიერ შენატანი ხორციელდება ლარში, შესაბამისად, კაპიტალი უნდა განაწილდეს დივიდენდის სახით მხოლოდ ლარში.

## 16. კაპიტალი (გაგრძელება)

ბანკის აქციონერთა 2010 წლის 2 ივნისის საერთო წლიური კრებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება ნებადართული აქციების რაოდენობის 43 500 000 ცალით გაზრდის შესახებ. ბანკის წესდებისა და ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე 2010 წლის 2 ივნისს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება 43 500 000 ცალი ჩვეულებრივი აქციების განთავსების შესახებ. ბანკმა ემისიის პროსპექტი წარუდგინა საქართველოს ეროვნულ ბანკს, რომელმაც 2010 წლის 18 ივნისის №537 განკარგულებით ემისიის საბოლოო პროსპექტი დაამტკიცა. აქციები მთლიანად იქნა განთავსებული.

2011 წლის თებერვალში ჯგუფმა გააუქმა 32,301 გაცხადებული მაგრამ გაუნაღდებელი აქცია. 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ბანკის გაცხადებული და განაღდებული კაპიტალი შეადგენს 148,042,701 ცალ ანუ 148,043 ლარის ღირებულების აქციას.

### დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდების განაწილება შეიძლება გაცხადდეს ბანკის აქციონერებზე წმინდა მოგებიდან რომელიც გაანგარიშებულია ბანკის მიერ ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ არაკონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

## 17. პირობითი ვალდებულებები

### საოპერაციო გარემო

საქართველო აგრძელებს ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების კვალობაზე, ავითარებს სამართლებრივ, საგადასახადო და სარეგულაციო ბაზას. ქართული ეკონომიკის მომავალი მდგრადობა, ბევრადაა დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკის განვითარებისათვის.

მსოფლიო გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონიმიკაზე. 2010 წელს დაწყებულ ეკონომიკის თანდათანობით აღზევებას თან სდევდა ფინანსური სტაბილიზაცია, მიუხედავად ამისა, ეკონომიკის შემდგომი განვითარების პროცესში კვლავ არსებობს განუზღვრელობის ფაქტორი, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ფინანსურ ოპერაციებზე ბიზნეს გეგმაზე და საერთოდ, მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის მენეჯმენტი დარწმუნებულია ჯგუფის საქმიანობის მდგრადი განვითარების მხარდაჭერის მიზნით არსებულ პირობებში გასატარებელი ღონისძიებების სისწორეში, ზემოაღნიშნულ გაუთვალისწინებელ გაუარესებებს შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის განვითარებაზე.

### იურიდიული საკითხები

საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას, ჯგუფის წინაშე შესაძლოა აღიძრას სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

მენეჯმენტი თვლის რომ აღნიშნული ვალდებულების დასაფარად ეკონომიკური სარგებლის გადინებას ადგილი არ ექნება.

იურიდიული მოთხოვნის მიხედვით რეზერვებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის სანახავად იხილეთ შენიშვნა 12.

## 17. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ბანკის ფინანსური ვალდებულებები შედგებოდა:

| | 30.06.2011 | 31.12.2010 |
|---|---|---|
| **კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული ვალდებულებები** | | |
| გაცემული სესხების აუთვისებელი ნაწილი | 23,074 | 18,941 |
| გაცემული გარანტიები | 18,166 | 14,715 |
| აკრედიტივები | 729 | 1,441 |
| **პირობითი ფინანსური ვალდებულებები (უზრუნველყოფის გამოქვითვამდე)** | 41,969 | 35,097 |
| მინუს – აკრედიტივებისა და გაცემული გარანტიების უზრუნველყოფის სახით მიღებული ნაღდი ფული | (389) | (850) |
| **პირობითი ფინანსური ვალდებულებები** | 41,580 | 34,247 |
| **საოპერაციო იჯარის ვალდებულება** | | |
| არაუმეტეს 1 წლისა | 81 | 78 |
| 1 წელზე მეტი, არაუმეტეს 5 წლისა | 78 | 76 |
| | 159 | 154 |

**დაზღვევა**

ამჟამად ბანკში მოქმედებს თანამშრომლის ჯანმრთელობის დაზღვევა სადაზღვევო კომპანია "აი-სი ჯგუფ"-თან. სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად, ჯგუფი ანხორციელებს სადაზღვევო პრემიის ყოველთვიურ გადახდებს.

## 18. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან

| | 30.06.2011 | 30.06.2010 |
|---|---|---|
| საკომისიო საანგარიშსწორებო ოპერაციებიდან | 1260 | 1,369 |
| საკომისიო გაცემული გარანტიებისა და აკრედიტივებიდან | 382 | 240 |
| საკომისიო ნაღდი ფულით ოპერაციებიდან | 357 | 295 |
| სხვა | 57 | 75 |
| **გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი** | 2,056 | 1,979 |
| საკომისიო საანგარიშსწორებო ოპერაციებიდან | (483) | (485) |
| საკომისიო ნაღდი ფულით ოპერაციებიდან | (26) | (23) |
| საკომისიო მიღებული გარანტიებისა და აკრედიტივებიდან | (34) | (8) |
| სხვა | - | (3) |
| **გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი** | (543) | (519) |
| **წმინდა გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი** | 1,513 | 1,460 |

## 19. სხვა შემოსავალი

| | 30.06.2011 | 30.06.2010 |
|---|---|---|
| დაკრედიტების ოპერაციების შედეგად მიღებული ჯარიმები | 998 | 1,444 |
| სხვა ჯარიმები | 290 | 157 |
| დეპოზიტის ვადამდე დაფარვის გამო დაკისრებული ჯარიმები | 337 | 3 |
| სხვა | 288 | 164 |
| **სხვა შემოსავალი** | **1,913** | **1,768** |

## 20. ხელფასები და სხვა საოპერაციო ხარჯი

| | 30.06.2011 | 30.06.2010 |
|---|---|---|
| ხელფასები და პრემიები | 9,484 | 8,637 |
| **პერსონალის ხარჯები** | **9,484** | **8,637** |
| იურიდიული თუ სხვა სახის პროფესიული მომსახურება | 456 | 954 |
| ძირითადი საშუალებების შენახვისა და რემონტის ხარჯი | 339 | 310 |
| საოფისე მოწყობილობები | 231 | 333 |
| კომუნიკაცია | 271 | 288 |
| მარკეტინგი და რეკლამა | 367 | 325 |
| იჯარა | 227 | 229 |
| გართობა | 73 | 109 |
| მივლინებები და დაკავშირებული ხარჯები | 163 | 118 |
| დაზღვევა | 112 | 136 |
| გადასახადები | 149 | 372 |
| ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან | - | 15 |
| ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან | - | - |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების ზარალი | - | - |
| კომუნალური ხარჯები | 210 | 274 |
| დაცვა | 169 | 61 |
| დარიცხული ჯარიმები | - | - |
| ქველმოქმედება | 48 | 11 |
| არამატერიალური აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია | 85 | 53 |
| სხვა | 325 | 120 |
| **სხვა საოპერაციო ხარჯები** | **3,225** | **3,708** |

## 21. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

2011 წლის 30 ივნისის და 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეთა შორის განხორციელებული ტრანზაქციების ბალანსი შემდეგნაირია:

| | *30.06.2011* | | | *31.12..2010* | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | *მშობელი ბანკი* | *საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ* | *ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები* | *მშობელი ბანკი* | *საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ* | *ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები* |
| ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები | 59 | 729 | - | 69 | 3,480 | - |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | - | - | - | - | - | - |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები, მთლიანი | - | - | 27 | - | 23,397 | 13 |
| მინუს: გაუფასურების რეზერვი | - | - | - | - | - | - |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები, წმინდა | - | - | 27 | - | 23,397 | 13 |
| სხვა აქტივები | 92 | - | - | 15 | - | 2 |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ (შენიშვნა 14) | 26,938 | - | - | 5,509 | - | - |
| ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე | - | 5,722 | 424 | - | 1,155 | 381 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 34,436 | - | - | 35,878 | - | - |
| სუბორდინირებული სესხი | 20,239 | - | - | 21,534 | - | - |
| სხვა ვალდებულებები | 55 | - | - | 66 | - | - |

საწარმოები - საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ისეთი საწარმოები, რომლებიც პირდაპირ, ან ირიბად, ერთი ან რამოდენიმე შუამავლით იმართებიან, ან კონტროლდებიან, ან ბანკთან ერთად იმყოფებიან საერთო კონტროლქვეშ (მათ შორის შვილობილი ჰოლდინგური კომპანიები და სხვა შვილობილი კომპანიები). წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საერთო კონტროლქვეშმყოფი იურიდიული პირები მოიცავს იურიდიულ პირებს რომლებიც არიან ვითიბი ჯგუფის წევრები და აგრეთვე სხვა იურიდიულ პირებს რომლებიც კონტროლდება რუსეთის ფედერაციის მიერ.

## 21. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება )

დაკავშირებულ მხარეებთან წარმოებული ტრანზაქციების მოგება და ზარალი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| | 30.06.2011 | | | 30.06.2010 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | *მშობელი ბანკი* | *საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ* | *ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები* | *მშობელი ბანკი* | *საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ* | *ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები* |
| საპროცენტო შემოსავალი | - | 392 | 1 | - | 1,740 | 4 |
| საპროცენტო ხარჯი | (2,074) | (200) | (22) | (6,787) | (82) | (3) |
| სესხის გაუფასურების რეზერვი | - | - | - | – | – | (1) |
| გასამრჯელოდან და საკომისიოდან მიღებული შემოსავალი | - | 23 | - | – | 2 | - |
| გასამრჯელოზე და საკომისიოზე გაწეული ხარჯები | (1) | (24) | - | – | (24) | – |

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მთავარი რგოლი შედგებოდა 5 სამეთვალყურეო საბჭოს წევრისგან და 4 დირექტორატის წევრისგან (2010- სამეთვალყურეო საბჭოს 5 წევრისგან და დირექტორატის 5 წევრისგან).

2011 წლის 30 ივნისის და 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან მნიშვნელოვანი ოპერაციები არ ჰქონია.

2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლების ანაზღაურება მოიცავდა ხელფასებს ბონუსებს და სხვა კომპენსაციებს 1,136 ლარის ოდენობით (30.06.2010: 658 ლარი) .

## 22. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2011 წლის 12 ივლისს სს"ვითიბი ბანკ ჯორჯიამ" გაასხვისა შვილობილი კომპანია შპს"ტირიფონი", აღნიშნული ფაქტი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში დარეგისტრირებულ იქნა 2011 წლის 14 ივლისს.